




— სექტემბერი გავიდა და რემონტი არ დაიბ-
თავრებიან?!

— რაში გვირდებათ სკოლა?! მოსწავლეთა
უმეტესობა მაინც რეპეტიტორებთან დადის!



78

50 წლის ნოდარ ლუგაშვილი

მე ვხედავ მზეს და მზეზედაც შენი ზეიმი მზადდება!..
საქვეყნო პოპულარობის ხარ პოლარული ნათება!

გაქვს გამარჯვება იმდენი, — იმდენი ჯილდო-ტიტული, —
რომ მათ ჩამოთვლას კუპრაძეც ვერ შეძლებს მთელი სისრულით!

შენ — „მე, ბებია, ილიკო... ილარიონის“ ავტორი —
„იდეალური მწერალი“ ხარ, როგორც ამბობს პლატონი!

მზუზე მეტ სითბო-სინათლეს გეფენ გაბზარული გულიდან,
მზიან ღამეშიც გვინათებ ღვთიური სიყვარულითა!

მსოფლიოს მრავალ ენაზე ხარ, ნოდარ, ნათარგმანები,
იმ ენათპატრონ ხალხთაგან — ნადიდებ-ნათყვანები!

გსტამბავენ სტამბულ-სტოკჰოლმში, პარიზ-ვაშინგტონ-ლონდონში!..
ათას ერთ დოლარს იხდიან მარტო შენს ფერად ფოტოში!..

საქვტაკლებად და ფილმებად მოედე მწვანე პლანეტას!
(მწვანე გზა უნდა გაგისხნან ოპერამაც და ბალეტმაც!)

მსოფლიო აღიარებას ვერვინ ინატრებს უკეთესს:
აღნიშნული ხარ მზეებად ასტრონომიულ რუკებზეც!

უჭირავთ შენი წიგნები ხალხებს თეთრ ბაირადებად!
(ვინც თეთრს შავისგან ვერ არჩევს, — ხალხისგან გაილახება!)

ლაურეატს და მოღვაწეს, დეპუტატსა და ერისკაცს —
გამოვლილი გაქვს ტანჯვისა და მწუხარების ძნელი გზა!..

შენ ფეხზემოსიარულე სიმფონია ხარ სიკეთის
და ჭეშმარიტად სახალხო მწერლად სიკეთით იქეცი!

ხალასი შემოქმედებით გვატკობ!.. გვატირებ!.. გვაცინებ!..
შენს რომანებზე რომშიაც იცავენ დისერტაციებს!

ზღვა აღტაცებას გვანიჭებ, ზღვა სიხარულს და ზღვა ხალისს!..
ხარ ჰომეროსი ჰუმორის და ჰომერული ხარხარის!

ცხრა წელს იყავი „ნიანგის“ რედაქტორ-ზეანგელოზი,
ჟურნალს ავსებდი სიახლათ, გმირულად ნიანგელობდი!

ხარ საზეპირო, მზიური, დიდი პოეტი საბავშვო
და ბავშვებს შენი ლექსები შემალული აქვთ საბანქეშო!..

ეს დედამიწაც შენია, მზეც შენ შეგცქერის, შეგცინის!..
მალე ნობელის პრემიას გადმოგცემს მეფე შვეიცის!..

ხარ „მოუბარი უებრო“, ოქროპირი და ენამზე
და, ტრიბუნაზე რომ დგახარ, — მაღალი ჩანხარ ყველაზე!

ამოუდლდე მწერლობას ახალი წმინდა წყარონი!
შენ არ მოკვდები არასდროს მარადისობის კანონით!

პოემის წერას მე შენზე ვიწყებ ამ ოდა-პროლოგით —
შენი ძმა ზაურ ბოლქვაძე — ხელობით ნოდაროლოგი!

— : — : —

შენ, ნოდარი კი არადა, მიკვირს, რად არ გქვია ქრისტე?!
ნუ დაკარგავ ძველ მეგობარს — მოიხედე „ნიანგისკენ“!

ზაურ ბოლქვაძე

ჩემო ნოდარ!

ზუსტად ამ ოცი წლის წინათ, ორივენი, ჟურნალ „ნიანგში“ ვმუშაობდით. ახლა ამავე ჟურნალის ფურცლებზე ვაქვეყნებ შენდამი მისასალმებელ წერილს. მასხვს, ერთ-ერთი ნომრისათვის, შენ „გაუმარჯოს გიგილო“ ციკლიდან ფელეტონი შემომიტანე ვიზისათვის. რამდენიმე უხერხული ადგილი ამოგიგდე. შენ, ეტყობა, გეწყინა და ბიჭებს შენებურად წაიქილიყე: „ელგუჯა თვითონ ხომ არ ხუმრობს და სუმრობას სხვებსაც უშლისო“. არც ახლა ვხუმრობ და ძალზე სერიოზულად გესალმებ.

შენი სახელი შორს არის გავარდნილი. იგი კარგა ხანია გასცდა შენი სამშობლოს ზღუდეებს. შენ კარგად გიცნობენ ინგლისში, ამერიკასა და იაპონიაში. შენ მარტო ქართველი და რუსი კრიტიკოსებისა და რეცენზენტების ამარა არ დარჩენილხარ. შენ სხვა კონტინენტების, სხვა ჯურისა და რასის დამფასებლებიც იშოვე, მოინადირე და შეიძინე. შენ, ფეხბურთელივით, სიცოცხლეშივე მოიპოვე სახელი, დიდება და სწრაფად მიუახლოვდი კვარცხლბეკს. შენი სახელი ხშირად არა მარტო ლიტერატურაში, შენ თეატრალურ სამყაროშიც შეიჭერი, არც კინოს დაკელი ხელი. შენ აღარ გპირდება ხოტბის შესხმა, ღვთიერებები და წარდგენა. შენ ისედაც სახელგანთქმული ხარ და მაინც რამდენიმე აუცილებელი სიტყვა ხაზგასმით უნდა დავწერო.

შენ ბუნებამ მოგამალდა მაცდური შინაგანი სიბლი, რაც ადამიანს ერთის ნახვით ატყვევებს.

ყველაზე ძალიან შენს ნაწარმოებებში სხვადასხვა ჯურის ადამიანების მოსწონთ, რომ შენ შიშვლად კი არ მორაღისტობ, დიდაქტიურ-ალმურდულობით მუშაობს კი არ ეწევი, შენ უბრალოდ ხატავ ადამიანებს, რომლებსაც შენი შინაგანი სიკეთის სული უღდათ.

შენი ზურგიკლა და ბაჩანა წმიდა მოწამე ევსტათი მცხეთელის, დიდმოწამეთა: დავითის და კონსტანტინეს ნაშეირნი და შთამომავალი არიან და სიწმინდესა და სიკეთეში მათთან არიან წილნაყარნი. შენ ადამიანის სულის ლაბირინთებში ნათელმხილველივით იჭრები, შენ საკუთოლოგივით დალაშქრე ყველა სიღრმე უფსკრულებსა და მიწისქვეშა ბროლის დარბაზებში, თავს არაიოდნას ძაფის გარეშეც ლაღად გრძნობ, რადგან სიკეთითა ხარ აღსავსე და უკან დასაბრუნებელ გზას არავინ გაღავიჭრის.

შენ ისეთი ძალის მხატვრულ სახეებს ჰქმნი, რომ ადამიანს უჭირს გამოცნობა, ეს ყოველივე გამოწავლია თუ სინამდვილის ჭეშმარიტი სურათი. შენი ნაწერების კითხვისას თითოეულ ინდივიდს, აქა თუ შორეთში, ცხოვრებაში ნანახი, აღქმული, განცდილი, გავიწყობილი, გადატანილი წარმოდგება თვალწინ. ამითა ხარ შენ შენიანთა და უცხო ტომელთათვის ახლობელი და მშობლიური. შენ უზადო სარკეში აჩვენე ადამიანური ვნებანი. შენ შეიქმენი მესობებ ადამიანთა შორის სიყვარულისა, თანაგრძნობისა, შეწყალებისა, თანამშობისა და გაჭირვების უამს ერთმანეთისათვის მხარდაჭერისა. ვინც გონების თვალს გაუბამს შენს რომანებს, უმაღლესი იტყობს, რომ ისინი დაწერილია ადამიანთა გამოწვრების მიზნით, თუმცა საშუალოდ შენი მიზანი არსადაა გაცხადებული და სწორედ ამაშია შენი ღირსება. შენ ტკივილიანი და ცრემლიანი ღმრთილთ, ადამიანის სულში სიკეთის ძიებით, ადამიანისადმი თანადგომით გწადს ზნესრულშეუ ადამიანი, გამოჩხრიკო მის სულში მთვლენარე სიყვარული მოყვასისადმი, სული უბერო იმ სიყვარულს და ნაპერწკლიდან კვლავ დაანთო ცეცხლი. შენი სურვილია, ნიღაგ მხარში ედგე მოყვასს, ერთთავად სულ სიტყვიერ ფრესკებს ჰქმნიდე, დათესო, ახარო, ამრავლო რწმენა და სიყვარული კაცთა შორის და ამით ადამიანს გაუიოლო ტვინთმძიმე ცხოვრება.

შენი მონათხრობი ამბები უთვალავი ფერითაა შემკული. ესაა ზღვის კენჭებით მოოჭვით, საოცარის ხელოვნებით შეხამებული ძვირფასი მოზაიკა. იგი ხან გელათის ღვთისმშობლის ნაღვლიანი, ნალესი სევდიანა აღბეჭდილი, ხან ყინვისის ანგელოზივით მწყაზარი და მშვიდია, ხან თერთი გიორგევით შუბმომარჯვებული და შემართებული წმინდა მეგრძოლის სახით წარმოგვიდგება თვალწინ და ხანაც — ბერეკობაში მონაწილე ანცი და ჭანდონით აღსავსე, მხიარული და ვნებადამუცხრალი ჭაბუკის, ან ქალწულის სახით გვევლინება. შენი თხრობის სადა და უბრალო სტილის გამო ზოგიერთებს აგრე ჰგონიათ, რომ შენებურად წერა ძალზე იოლი რამაა, ამიტომ გამოვიჩნდა ბევრი მიმბაძველი. თუ ისინი მალე გონს არ მოეგნენ და სავალად სხვა გზა არ მოიხსნეს, შენი აუოლა არას არგებთ და შენს გზაზე აუცილებელი დაღუპვა ედით.

შენი ეგ წერის უბრალოება ბევრის ხილზე სიარულივითაა. დიან, ეგ, ერთი შეხედვით, უბრალოება და სისადავე უღაბნოს მირაჟივით მაცდური აღმოჩნდა სხვათათვის, რადგან, რაც უფრო უაზროვანად იმ მირაჟს, მით უფრო შორდებათ იგი. შენს გზაზე მარები მიმბაძველნი მე ვერც გაღმა გასულნი ვნახე და ვერც უკან დაბრუნებულნი. ეტყობა, ვითინი შენებური მაცდუნებელი ჭანსალი სიცილითა და ცრემლით ძალიან შორს შეიტყუე. კალამს კი ძალის დატანება არ უყვარს.

შენს ნაწერებს თან დაჰყავთ რაღაც ღვთაებრივი აღმადრენა, განსაწმენდელის გამაცისკროვნებელი შუქი და ცეცხლი... შენი ნაწერები აღსავსეა სიკეთით, რწმენითა და სიყვარულით, ადამიანისადმი შენამსხვავლები თანაგრძნობით, თანაგანცდითა და თანადგომით. შენ რწმენისა და სიყვარულის ქადაგი ხარ და ამიტომ შეგიყვარა ხალხმა.

ალბათ, ბუნებამ დაგანათლა დიდყოფი, რაკილა შენი თავმდაბლობით მზადა ხარ მკითხველთა სამსახურად. შენ დაუნანებლად და უშურველად გასცემ საზოდვარს და მზადა ხარ მსახურებად რაგინდარა მკითხველისა. შენ სახსრად მრავალთა მიცემული გაქვს გონება, გული და სული, რადგან ჭეშმარიტად შეთვისებული და გასიგარძეგანებული გაქვს ნათქვამი: რომელმან დამდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს!..

ელგუჯა მაღრაძე

ჩემს ძველ მეგობარს ვეწვიე, სიხარულისგან ვღელავდი. კარებზე ზარი დავრეკე, ვერ გავაგონე ვერაფრით. ბრდღვინავდა ტელევიზორი, როგორაც ზარი დაჭრილი, ცაზე კი მთვარე ეკიდა უალავერდო ყანწივით...

ჰა, მასპინძელმაც ღრჭილით გვიან გააღო კარები, ზრდილობისათვის შემოიმა ჩაღმებული თვალებით. ტელევიზორთან უსიტყვოდ იმ წამსვე სკამი მიმიდგა. ადგომაც კი გაუჭირდა იმის მეუღლეს — ივლიტას.

სულ პირველ რიგში ცქმუტავდნენ აღტაცებული ბაღლები, ყველას ზეპირად სცოდნია გადასართველი არხები. პატარას ვკითხე: დრო არის და, ალბათ, ახლა დაწვებით. — არა, ჯერ კინო იქნება. „როგორ აღვზარდოთ ბავშვები...“.

მერე ლექცია ატომზე, შემდეგ — მიღწევა ორხევის, მცენარეთ ფიზიოლოგია და გადაცემა ჰოკეის. მაკარი, თურმე, ცოლ-შვილით ყველაფერს უმზერს, დროსა კლავს, — თესვას, გათოხნას, გამარგვლას, მცნობას, მკასა და მოსავალს.

ანტერესებს ქიმიაც, ინდური ძროხის ჯიქნებიც. მათემატიკის სფეროში იზიდავს ლოგარითმები. ეკრანზე შავი ზღვა არის, თუ წარმოება მარილის. ტელევიზორი მუშაობს დღედაღამ მაცივარივით.

იქვე „ავჩარკა“ მიმოდის, ვით: მცველი ტრანსფორმატორის, მე ლამის ყვეფით ამიკლო, ენით გალოკა პატრონი. და ზის მაკარი შაჰივით, ცოლიც — ატლასის ფარჩებით. ტელეეკრანის შემყურე წიგნს გაურბიან ბავშვები.

და არაბული ავეჯი კრიალებს ახალ ბინაში, ჩაის სვამ, ფეხბურთს უცქერი აქედან არგენტინაში... ეს საიდუმლო გამანდო ჩაფიქრებულმა მაკარიმ, თანაც ცოლს გამოუჯავრდა: — ქალო, მისურე მა კარი.

ვაიმე, რაღაც საეჭვოდ ხროტინებს ტელევიზორი, ეკრანიც რატომ დაბინდდა, აბა, „ვიზოვი“, „ვიზოვი“!.. — შემკეთებელიც მოვარდა, სახეზე ღიმი ეხატა. შუქმა თანდათან იმატა ხმაც ძველებურად ჭეჭავდა.

— ეს კი საშიში რამაა, როცა ჩართვაა წრიული... ..და გააცილეს ოსტატი ისე, ვით „კონსილიუმი“. გარეთ აგვისტოს ბუღია, ბინაში კიდევ თაკარა, და სიმწრის ბოლი აუდის გადახურებულ აპარატს.

მოქანცულ ბავშვებს თანდათან წყვილ-წყვილად ჩამოეძინათ. ივლიტამ იქვე, ჩვენს თვალწინ, დიდ გობზე მჭადი მოზილა, „ვრეშია“ როცა გათავდა, ცომით გავარდა სამზადში. ისევ მოვარდა, იკითხა: — ხომ არ დაიწყო თამაში?! —

ყველას წინ ჩამოგვეფარა, ეკრანში მზერა ჩასწურა, თან ხელისგულზე მჭადის ცომს ზემოდან დაუტკაცუნა. როცა გადადოლილ ეკრანზე, მუქი ფერები დახვავდა, მშობლებს მძინარე ბავშვები დაჭრილებივით გაჰყავდათ.


შუქი სულ ჩამოიწრიტა, ანტენამ თავი დახარა, მერე საბრალო ეკრანმაც ჩინჩხლები შემოგვაცარა. მაინც უცქერის მაკარი, თვალი წამით არ მოღალა. ვუთხარი: ერთხელ დახედე გადაცემათა პროგრამას.

— არა, არ მჯერა მაგისი, ყოველთვის ცვალებადია. — იმას მაინც ხომ განიშნებს, ის ნახო, რაიც გწადია. ხანდისხან მართლაც კარგია, ცოტა ხნით თუკი გაგართობს... — არ მისმინა და დილაკი ახლა სხვა არხზე გადავრთო.

— კაცო, რა სენი შეგყრია, განუკურნელი სახადი. — მუქთად ვუცქერი, ამაზე არ არის გადასახადი. — თქვა და ივლიტაც მიუჯდა, მე კი ვწყველიდი გაჩენას, დამწვარი მჭადის სურნელი მცემდა და არ მომასვენა.

ავდექი გონდაკარგული, ტელეეკრანით გავშტერდი. მე ვახშამს ვინდა მაჭმევდა, უვახშმოდ დაწვენენ ბავშვები. წამოველ, მაგრამ გარეთაც გრიალ-გრიალი ისმოდა, ჩაყვინთებული ცოლ-ქმარი დავტოვე ტელევიზორთან...

ოთარ ბაგვორია



— სკოლაში მიმავს, ჩვენი მასწავლებელი სულ იმას ჩივის, საათები მაქლიაო!

პროფესიული დახმარება

დილით, ათწუთიანი კონფერენციის შემდეგ, საავადმყოფოში ჩამოვლა დაიწყო.

— აბა, ბებია ელპიტე, როგორა გვაქვს ქრონიკული რადიკულიტი?

— ხანდისხან ოდნავ გამკრავს, ბატონო ექიმო, ეტყობა, აცივდება, შეიძლება ქარიც ამოვარდეს.

— ტყუილი არ მითხრა!

— მომიკედეს თავი, ტყუილს როგორ შეგკადრებ!

— ბაბუა კირილე, მუხლებში რას გრძნობ?

— მტეხავს, ბატონო ექიმო, განსაკუთრებით მარცხენა...

— ჰოო, მარცხენა, ხომ, ნამდვილად?!

— დიახ, ბატონო ექიმო, ჭეშმარიტად მარცხენა, უეჭველში გაწვიმდება, შეიცვლება ტაროსი...

— მდაა... კარგია...

ექიმმა შემოვლა დაამთავრა, ხელები მოიფშვინტა და კაბინეტს მიაშურა.


— ალო, ალო, ცილა... ჰო, მე ვარ... შემაერთე მეტოსადგურის დირექტორთან. ალო, კაკო ხარ?! გუშინ რომ გავვლუმზე ამოდენა ხალხი, რა გითხარი მე შენ! თან რა პურ-მარილი გააფუჭე?! გადაეცი ახლა: ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, სუსტი, ზომიერამდე ძლიერი ქარი.

— ზუსტად?

— წყალი არ გაუვა!

ზურღან ყორღანაშვილი

ნახ. 3. კუცინასი



უსიტყვოდ

ნახ. 5. ქელესხაშვილისა



უსიტყვოდ



სიძხე კარგად არ მქონდა გამოწე-
ლებული, რომ ჩემი საწოლის თავთან
დამუწავდა კაცი. თვალწინ პორნოგრა-
ფიული სურათები გადამიშალა. ამ გა-
რემოში მაკიაველი, პოკრუსტე და
კანიბალები არ მომისჯიდნენ ამგვარ
განაჩენს, როგორც ამ პორნოგრაფ-
კომერსანტმა. მე სასთუმალიდან წაო-
ვიწიე და ვუკივლე: შე გომორო, ბა-
ქანალიის ალქაჯო, მომშორდი!... ალბათ,
რაიმე მძიმე სხეულს ვესროდი, რომ
მეზობელ საწოლიდან „კოლეგას“ ჩემ-
თვის ყურში არ წაეპუტუნა: ეს მუნჯი
ჩვენი სანიტრის ახლობელია! მისგან
იყიდე ერთი სურათი, თორემ, ტარაკა-
ნები ხომ ალყას გარტყამენ, ახლა
ვირთხებს დავიბატიყვებს. მემარჯვენე
მეზობლის სიტყვა ჭკუაში დამიჯდა და
პორნოგრაფ-კომერსანტს უბატრონო-
ბისგან გაშიშვლებული ქალის სურათი
გამოვართვი საკმაოდ მაღალ ფა-
სეში. პორნოგრაფიულ სურათს ვნე-
ბაბუტრძენილი რომ ვათვალისწინებდი,
ანაზნად პალატაში ბოშა ქალი შემოე-
ღარუნდა და სოპრანოთი დაიწყო:

— კევა, ჟუვჩიკა!
— ეს უკვე თავგასულობაა! რუსთა-
ველისა და პლენახოვის გამზირებზე კი-
დეც ჰო, აქ კი უკვე მეტისმეტია! დავ-
წერ სადაც საჭიროა! — ვღრიალებდი
მე.

— არ გირჩევთ, ჩუ ნერვიულობთ, ეს
ბოშა ჩვენი უფროსი ექთანის პირადი
მკითხავია, უცხოური წამლებიც მის
გამგებლობაშია! — კვლავ გამაფრთხი-
ლა „მემარჯვენე“ მეზობელმა.

„რაო, წამლებზე უფროსი ექთანი
ქურუმობს?! მე და წამლები ხომ ფუნქ-
ციონალურ დამოკიდებულებაში ვართ!
იღუმალ განვჭვრიტე და ბოშა ქალის-
გან ერთი კოლოფი „კევა“ შევიძინე.
განშორებისას ბოშა ქალმა თვისი სხე-
ულის ყველა ნაწილი შეათამაშა და
„ოჩი ჩორნიეს“ მელოდიები დავგი-
ტოვა.

სანამ მე მეზობელ-ავადმყოფებს
ურთიერთდამოკიდებულების განმტ-
კიცების თვალსაზრისით „ჟუვჩიკებს“
ვურიგებდი, ვიღაც ქალი შემოსულიყო
და მილიმოდა. ეუპ, ვინმე თუა ჩემი
ნათესავი და ველარა ვცნობ, სულ
ავადმყოფობის ბრალია! შეუცნობელმა
ნათესავმა გამიღიმა, შუბლზე გადამის-
ვა ხელი, პულსი მომისჩნა და გამამხ-
ნევა:

— მალე წამოფრინდებით ლოგინ-
დან, მერე კი თქვენ გესაჭიროებათ
ნარნარი სიარული, ამის საუკეთესო
საშუალება კი ირმის ყელის ფოსტლე-
ბია!

— ეს გამოჩენილი მეფოსტლეა, ჩვე-
ნი პალატის ექიმის მოსამსახურის დე-
და გახლავთ! — განქიქება არ მაცალა
„მემარჯვენე“ მეზობელმა.

მართლაცა, ჩემი სწორი მეურნა-
ლობა პალატის ექიმზე იყო დამოკი-
დებული... წინ ვიზ დამიდგებოდა, შევი-
ძინე ნარნარა ფოსტლები, თავთან დავი-
ლაგე, ისე, რომ პალატის ექიმს გულზე
ამოხატოდა.

ფოსტლებით განარნარების ასპექტში
ვიყავი, რომ შემოვიდა იარლიყებდაწე-
ბებული ჩემოდნით ქალი. ამოვიკითხე:
ლონდონი - პარიზი - მანილა - ტოკიო-
ბუენოს-აირესი. კიფიქრე: ვიღაცის მნა-
ხველია, ეტყობა, პირდაპირ აეროპორ-
ტიდან მოვიდა აქ, საავადმყოფოში. ეს
ულტრამაგელანი საოცრად ზრდილო-
ბიანი აღმოჩნდა, ყველა მოიკითხა.
სიცხის ღიაგრამებს ისეთი პროფესიუ-
ლი ღონით აკვირდებოდა, რომ ზოგი-
ერთ ექიმს შეშურდებოდა მისი მანერა.
ამას არ დასჯერდა, ჩვენი კუჭისა და
შარდის მოქმედების სიხშირით დაინ-
ტერესდა, ვატყობდი, მე განსაკუთრე-
ბით მილიმოდა. მერე ღიმილი სიტყვად
მიქცია, მკითხა: „ვი ზელიონი?“
მე გამეცინა, მან კი თავისი ტელეპა-
ტიით გაიხარა:

— მივხვდი, აბა, რა იქნება?! თქვენი
ბიოდენები იმასაც მაუწყებენ, რომ
მარცხენა თირკმელაში კენჭი გაქვთ!

— დიახ... — ავლულულული მე.

— კენჭი გაივლის, მალე წამოდგე-
ბით, ოო, რა სიახლე დაგეუფლებათ,
ვერ წარმოიდგენთ! სიახლე კი ჰბადებს
სიხალისეს, სიხალისე კი — ჩაცმის
შემეცნების ლოგიკას. კარგი ჩაცმა
ადამიანის კულტურის ერთ-ერთი კომ-
პონენტია.

— თქვენ რას შემომთავაზებდით? —
შევაწყვეტინე ტვინის ჩიჩქნა.

— პანბარხატის კოსტიუმს, ტვიდის
პალტოს, ლაიკის ქურთუკს... — ფარ-
თო ასორტიმენტი გადმომიშალა ულტ-
რამაგელანმა.

— ეგ მთავარი ექიმის... — სიტყვა
ჩამაწვეთა „მემარჯვენე“ მეზობელმა.

მე შეუვარდებლად შევიძინე „პან-
ბარხატის“ კოსტიუმი. და, ასე, დღის
ბოლომდე მოვიპოვე ორი ინგლისური
პალტუხი, ერთი წყვილი ფინური ფეხ-
საცმელი და „ელპოს“ ფირმის პერან-
გები. ამგვარმა შეძენილმა ემოციებმა
დადებითად იმოქმედეს და კენჭი უმტ-
კივნივლოდ გვში. მალე ფეხზე წამოვ-
დექი მთავარმა ექიმმა ექსტრავაგან-
ტურად ჩაცმული რომ დამინახა, იყვი-
რა: „საავადმყოფო არა მართო აჯან-
მრთელებს ადამიანს, არამედ ალამა-
ზებს კიდევ!“

სახლში ასე ჩაცმულ-დახურული, ჟუ-
ვჩიკის ღეჭვით და პორნოგრაფიული
სურათებით რომ დავბრუნდი, „კეთილ-
მოსურნე“ მეზობლებმა ჩემზე ოფსე-
ტურ სტილში ანონიმური წერილები
გაამრავლეს: „ყალბად აქვს ბიულეტენი,
სინამდვილეში შვებულების გარეშე
დაყოლოდა ევროპის ქალაქების მა-
ღაზიებში!“

არ ვიცი, უსახელო წერილს დაუჯე-
რებენ?!


ავთანდილ აღიანი

ნახ. მ. აბაშიძისა






— მალე ამ ფერზე მოსულიყავი!..



უსიტყვოდ



უსიტყვოდ

დამუშავებულია მანქანამ სამწყობრო მეცადინეობაზე გაყვანილი პორუჩიკივით მიადგა ფეხი თბილისში ავჯალის გზატკეცილზე, სახლში წინააღმდეგობა დაიწყო. მანქანამ მძღოლმა მიმდებარე კომისიის წევრებმა დაორთქილი ფანჯრები ჩამოწიეს და უკმაყოფილო გამოცხადებულა. მიაჩრდნენ სამშენებლო ნარჩენებით შექმნილ გვარიან წუმბეს.

— კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ახალშენებული საერთო საცხოვრებელი ეს არის, ბიჭო?

— ნამდვილად ეს გახლავთ.

— შენც რუსთავის სახლმშენებელ კომბინატში მუშაობ?

— დიახ, უფროსო, სამუშაოთა მწარმოებელი გახლავართ.

— მერე, იმდენი ვერ უნდა მოახერხო, რომ ფიცრებით დალაგო და ამ წუმბეზე უფათერაოდ გადაატარო თქვენი სახლის მიმდებარე კომისიის წევრები?

— ახლავე, ჩემო ბატონო!

სახელდახელოდ გადებულ ვიწრო ფიცრებზე ასკინილით გადაირბინეს კომისიის წევრებმა და, რომ ეგონათ ეგ არის სამშენებლოზე გავედითო, სწორედ მაშინ უმტყუნა ილაბმა თავმჯდომარეს, ყინულზე ფეხი დაუსხლტა და მუხლამდე ტალახში წაყო მარცხენა ფეხი.

ფუჰ... თქვენც შეგარცხვინეთ და თქვენი აშენებულიც! თქვენისთანა მშენებლები ამ წუმბეში ფეხით კი არა, კისრით უნდა დაუტოვოთ კაცმა.

— ბოდიში, ბატონო, დიდი ბოდიში, — ჩაიბუტბუტა ნირწამხდარმა სამუშაოს მწარმოებელმა და ტალახში ამოსვრილი უფროსის შარვალს სეტყეასავით დაუშინა წკიპურტები.

— რაში დახარჯეთ კეთილმოწყობისათვის განკუთვნილი ათას ოთხას ოცდათერთმეტი მანეთი, თქვე ურჯულუბო?

— კიდეც და კიდეც ბოდიში, პატივცემულო, შესრება და მერე უფრო კარგად მოვფშენიტავ.

— ეზოს კეთილმოწყობით ხომ ვისიამოვნეთ და ახლა შენობის ოთახების სიმშვენიერითაც დავეტკებთ! — ბრძანა თავმჯდომარემ და კომისიის წევრებს შენობის დასათვალიერებლად გაუძღვა.

— ასე დაიგრიბოს ჩვენი მტერი და ავადმასხენებელი, როგორც ეს კარ-ფანჯარაა დაგრეხილი.

— ასეთ ოდრიზორდო იატაკზე იაროს ყველა ჩვენმა მტერმა და მაგიენებელმა.

— ასე დაებრანჯოს სიფათი ყველა ჩვენს მჭირდავსა და მოშურნეს, როგორც ეს ლინოლეუმი დაპრანჭული.

— ასე აჩხაბაჩათ გაუხდეს კბილები იმას, ვინც ეს მეტლახის ფილები დააგო.

ილოცებოდნენ ყველა სართულის შემოვლისას დამთვალეირებლები და უკმაყოფილოდ თავებს აქანქარებდნენ.

კომისიამ შემოვლა დაამთავრა და მსჯავრის გამოსატანად მუხლი შეასვენა.

— ამისათვის გადახარჯეთ 13.697 მანეთი, თქვე უღმერთოებო? — შეეკითხა კომისიის ერთ-ერთი წევრი სამუშაოს მწარმოებელს და თვალი თვალში გაუყარა.

— აბა, რას იტყვიან კომისიის წევრები? — ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ და ქალაქებში თვჩარჯულ უკმაყოფილო კოლეგებს გადახედა.


თქვეს და ისეთი თქვეს, რომ სულ ბოლი აღინეს ბელურებივით დაპატარავებულ და წელში მოკაცვულ მშენებლებს. რა აღარ აკადრეს, რას არ შეადარეს, რანაირი სიტყვებით არ შეამკეს და ბოლოს დაჯდნენ წერად და შავით თეთრზე დაწერეს:

მიღებული იქნეს რუსთავის სახლმშენებელი კომბინატის მიერ აშენებული საერთო საცხოვრებელი, ავჯალის გზატკეცილზე №14-ში.

მას შემდეგ რეა თვემ გაიარა. მიღების აქტი რა ხანია შესრულებულ საქმეებშია შესახლებული, მაგრამ 41.738 მანეთის ღირებულების სხვადასხვა უხარისხო სამუშაოების გულისთვის შეიღსართულიან სახლში დღესაც ვერაინ შეუსახლებიათ და ილაგაწყვეტილი კიროვის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშაოსამსახურენი მშვიერი ბოჩოლებივით გაჰყურებენ რუსთავის ბინათმშენებელი კომბინატის მიერ გამრუდებულ გზას.

3. კანკინი

ნახ. 3. მამოლიზივილი



უსიტყვოდ

მთავარი რედაქტორი ზურაან გამაზავილი სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლჭავაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციავილი, ჯ. ლოლუა, ზ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), ზ. ნიუნიანიძე, ზ. სიხარულიძე (პ/მ. მდივანი), ზ. ზირცხალავა, ო. ზაიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● საბირისა და იუზორის უზრუნველყოფა „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 23/VIII-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IX-78 წ., ქალაქის ზომა 70×1081/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სადრიცხო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 2359. უფ. 00832. ტირ. 141.000. ● ტბილისი, რ. რუსთაველი № 42. ● სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“, ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14. ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახ. 3. თემების ავტორები: მ. ავაშიძე, ზ. კუთია, მ. კახანავსკი, ზ. ლომიძე, მ. მკელდოშვილი, ნ. ქუთაშვილი, მ. ცოტაძე.




7-78

48-531

76137



ნახ. 3. ლომიძისა



უსიტყვოდ



პენტაგონისა და ნატოს მესვე-
ურები მოითხოვენ, იტალიამ და
მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა
თავიანთ ტერიტორიაზე განლა-
გონ ნეიტრული იარაღი, მაგ-
რამ პათ ეწინააღმდეგება მილიო-
ნობით მშვიდობის მომხრეთა აზ-
რი.

(გაზეთებიდან)

უსიტყვოდ

